ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 04 აგვისტოს მორიგი სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ
   მომხს: შმაგი ხიჯაკაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტისა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის" ხელმღვანელის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ
   მომხს: ალექსანდრე ტაბატაძე ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის" დირექტორი

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2025 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტლის შესრულების შედეგების განხილვის შესახებ

   მომხს: ვარლამ ჭიპაშვილი მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

4.,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იმ ზონების განსაზღვრის შესახებ,რომლებშიც I კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობათა განთავსება/მშენებლობა სავალდებულოა II კლასისთვის დადგენილი წესით'' ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 7 სექტემბრის №16 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

   მომხს: ზურაბი ბანცაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი

5. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის 2023-2027 წლების განახლებული სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

   მომხს: როინ გელაშვილი ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის, ეკონომიკის განყოფილების უფროსი .

საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 04 აგვისტოს მორიგი სხდომის

ოქმი N 12

2025 წლის 04 აგვისტო

დაბა ხარაგაული

9 აპრილის ქუჩა #15

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: დავით კიკნაძე, პაატა გოგოლაძე, ამირან ოქრომჭედლიძე, ოთარ ლურსმანაშვილი, მარინე ხვედელიძე, ბესიკ კვირიკაშვილი, პავლე კიკალიშვილი, შმაგი ხიჯაკაძე, შალვა ლურსმანაშვილი, ნონა ზურაბიანი, ირმა-ვაქერ სებისკვერაძე, უშანგი ბერაძე, კიაზო გამრეკელაშვილი, ვერა ოდიკაძე, მერაბ ტალახაძე, იამზე პაქსაშვილი, ლენა აბაშიძე, გოჩა გიორგიძე, ვახტანგი ტალახაძე, ავთანდილ კვინიკაძე, ეკატერინე შველიძე, კობა გოგსაძე, კოსტანტინე ბერაძე, ინგა მაღრაძე, სულ საკრებულოს 25 წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენლები:

ვარლამ ჭიპაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე,

ალექსანდრე ტაბატაძე ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ დირექტორი

ზურაბი ბანცაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი

როინ გელაშვილი ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის, ეკონომიკის განყოფილების უფროსი .

საკრებულოს აპარატი

ლენა კალანდაძე საკრებულოს აპარატის უფროსი,

ზაალ ორბელაძე საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში,

ნინო თხელიძე საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში,

ივანე ჭიპაშვილი საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

ანა ნიქაბაძე ა (ა) ი, პ. მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის თანამშრომელი,

მაკა ლურსმანაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომელი,

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის შემდეგი დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: შმაგი ხიჯაკაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

2.ხარაგაულის მუნიციპალიტეტისა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ ხელმღვანელის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: ალექსანდრე ტაბატაძე ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ დირექტორი

3.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2025 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტლის შესრულების შედეგების განხილვის შესახებ

მომხს: ვარლამ ჭიპაშვილი მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

.

4.,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იმ ზონების განსაზღვრის შესახებ,რომლებშიც Iკლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობათა განთავსება/მშენებლობა სავალდებულოა II კლასისთვის დადგენილი წესით'' ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 7 სექტემბრის №16 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

მომხს: ზურაბი ბანცაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი

5. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის 2023-2027 წლების განახლებული სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

მომხს: როინ გელაშვილი ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის, ეკონომიკის განყოფილების უფროსი .

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ
კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 25 წევრი.
მომხრე 25

წინააღმდეგი 0

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის შმაგი ხიჯაკაძის ანგარიში კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ოთარი ლურსმანაშვილმა, რომელმაც დააყენა წინადადება კომისიის საქმიანობის დადებითად შეაფასების თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა ოთარი ლურსმანაშვილის წინადადება კომისიის საქმიანობის დადებითად შეფასების შესახებ

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 25 წევრი.
მომხრე 24

წინააღმდეგი 1

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ ხელმღვანელის ალექსანდრე ტაბატაძის ანგარიში სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

გოჩა გიორგიძემ საკრებულოს წევრმა, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის იმერეთის სამმართველოს უფროსმა, მან მადლობა გადაუხადა მომხსენებელს მაღალი პროფესიონალიზმისათვის, ბევრი აქტივობა, რაც ხარაგაულში ტარდება ამ სამსახურის მიერ, იმერეთის ბევრ მუნიციპალიტეტში არ ხდება, ეს კოლექტივი ყოველთვის ცდილობს ადამიანებთან მიიტანოს მომსახურეგბს, რაც შეეხება ანტირაბიული ვაქცინის ადგილზე ქონას, მინდა განვმარტო, რომ ვაქცინა ვერ მიეწოდება ისეთ სამედიცინო დაწესებულებას თუ იქ არ არის სათანადო პირობები. მე მაქვს წინადადება სამსახურის კოლექტივი საქმიანობა შეფასდეს დადებითად.

ასევე დადებითად შეაფასეს და მადლიერება გამოხატეს საკრებულოს წევრებმა **ლენა აბაშიძემ, და იამზე პაქსაშვილმა**

ინგა მაღრაძემ საკრებულოს წევრმა პარტია „ლელო საქართველოსთვის“ პატივისცემა გამოხატა კოლექტივის მიმართ გაწეულის საქმიანობის გამო თუმცა ვისურვებდი შინა მენეჯმენტის გაუმჯობესებას

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა საკრებულოს წევრების გოჩა გიორგიძის, ლენა აბაშიძის და იამზე პაქსაშვილის წინადადება სამსახურის საქმიანობის დადებითად შეფასების შესახებ

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 25 წევრი.

მომხრე 24

წინააღმდეგი 1

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის ვარლამ ჭიპაშვილის ინფორმაცია საკითხზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2025 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტლის შესრულების შედეგების განხილვის შესახებ (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

ინგა მაღრაძემ საკრებულოს წევრმა პარტია „ლელო საქართველოსთვის“ , მან კითხვით მიმართა მომხსენებელს თუ როდის მიიღებს თოვლით დაზარალებული მოსახლეობა დახმარებას და რატომ არ აახლებთ ავტოპარკს მერიაში

ვარლამ ჭიპაშვილმა მომხსენებელმა უპასუხა ყველა მონაცემი შეგროვდა და გადაიგზავნა შესაბამის უწყებაში, რაც შეეხება მერიაში ავტოპარკის განახლებას თქვენ ყოველთვის წინააღმდეგი იყავით ამ საკითხზე და ახლა საარჩევნო პერიოდში არ ვაპირებთ ცირკის მოწყობას.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულება ინფორმაციის ცნობად მირების თაობაზე

საკრებულომ განკარგულება მიიღო ცნობად (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის **ზურაბი ბანცაძე** ინფორმაცია საკითხზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იმ ზონების განსაზღვრის შესახებ, რომლებშიც I კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობათა განთავსება/მშენებლობა სავალდებულოა II კლასისთვის დადგენილი წესით" ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 7 სექტემბრის №16 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე (თან ერთვის).

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა დადგენილების პროექტი

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 25 წევრი.
მომხრე 25

წინააღმდეგი

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის, ეკონომიკის განყოფილების უფროსის როინ გელაშვილის ინფორმაცია საკითხზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის 2023-2027 წლების განახლებული სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ(თან ერთვის).

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა დადგენილების პროექტი

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 25 წევრი.
მომხრე 25

წინააღმდეგი

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**